

## თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

თბილისი

„ 10 „ ივნისი 2008 წელი

### აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №2

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფ. ვ.საყვარელიძე, პროფ. კ. ყურაშვილი, პროფ. ო.ეჯიბაძე, პროფ. ვ. გეწაძე, პროფ. ნ.ბასილაია, ასოც. პროფ. თ.ალფაიძე, ასოც.პროფ.ა.არუთინოვა, ასისტ.პროფ. გ.თუმანიშვილი, ასისტ.პროფ. ა. აბაიაძე, უფროსი მასწავლებელი გ. ქირია

სხდომის თავჯდომარე: პროფესორი ვ. საყვარელიძე

დღის წესრიგი:

1. კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. კ.ყურაშვილი);
2. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ბატონ გია ქირიას მოწვევის თაობაზე (მომხსენებელი პროფ. კ.ყურაშვილი).

მომხსენებელმა - სამართლის ფაკულტეტის დეკანმა, საჯარო სამართლის პროფესორმა კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის სამართლის ფაკულტეტის მიერ დღემდე რეალიზდებოდა მხოლოდ საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა, ხოლო კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა არ იყო შემუშავებული. ფაკულტეტის საბჭოს 2008 წლის 3 ივნისის სხდომაზე, განხილულ იქნა თბილისის სამართლის ფაკულტეტის უფროს მასწავლებლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ბატონ გია ქირიას მიერ მომზადებული კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს, და 120 სასწავლო კრედიტის მოცულობისაა. პროფესორმა კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭომ მოიწონა წარმოდგენილი პროგრამა (კურიკულუმი) და იშუამდგომლა თბილისის აკადემიური საბჭოს წინაშე, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის დამტკიცებისათვის. ფაკულტეტის საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალია პროგრამის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნას იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ბატონი გია ქირია.

აკადემიური საბჭოს სხდომაზე მოწვეულმა უფროსმა მასწავლებელმა გ. ქირიამ აკადემიურ საბჭოს გააცნო პროგრამის დეტალები, მისი არსი და მიზანი, ყველა სასწავლო დისციპლინის სილაბუსთა მოკლე მიმოხილვა, რის შემდეგაც

აზრი გამოთქვა:

ასოც. პროფესორმა თ.ალფაიძემ, ასისტ. პროფესორმა გ.თუმანიშვილმა, პროფესორმა ვ. საყვარელიძემ

აკადემიურმა საბჭომ, კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფ. კ. ყურაშვილის მიერ წარმოდგენილი კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა (თან ერთვის);
2. კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნას იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გია ქირია;
3. ეთხოვოს თჰუ რექტორს გ. ქირიასთან შესაბამისი შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე: *ს. ს. ს. ს. ს.*

ვ. საყვარელიძე

მდივანი: *ა. ა. ა. ა. ა.*

ა. აბაიაძე